განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე

„თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2024 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმარტველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2024 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2024-2027 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის ტანდართული მასალები) მიხედვით 2024 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია **8.4** პროცენტით.

ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6[1]-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2024 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 24.500 ათას ლარს შეადგენს. 2023 წლის გეგმიურ (დამტკიცებულ) მაჩვენებელთან (20.000 ათასი ლარი) შედარებით 2023 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 4.500 ათასი ლარით (22,5 %-ით).

2024 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **დამატებული ღირებულების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა **13691,2** ათასი ლარით;

  2023 წლის გეგმიურ (12608,4 ათ ლარი) მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 8,59 %-ით (1082,8 ათ ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

- **ქონების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს **4500,0** ათას ლარს;

  2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან (4150,0 ათ ლარი) შედარებით ქონების გადასახადი 8,43 %-ით (350,0 ათასი ლარით) იზრდება.

2024 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 179,1 ათასი ლარი, მათ შორის:**

  - ✓ მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად განისაზღვრა 179,1 ათასი ლარი

    2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან (240,0 ათ ლარი) შედარებით გრანტები 25,38 %-ით (60,9 ათასი ლარით) შემცირდა.
    როგორც მოგეხსენებათ, მიმდინარე წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შევიდა თავდაცვის კოდექსი. თავდაცვის კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, ძალადაკარგულად გამოცხადდა „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“, „თავდაცვის ძალების რეზერვისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონები (რომლის მიხედვითაც ფინანსდებოდა დელეგირებული ფუნქცია).

- **შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 5429,7 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

  - ✓ პროცენტები 1000,0 ათასი ლარი.

    2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან (940,0 ათასი ლარი) შედარებით პროცენტები 6,38 %-ით (60,0 ათასი ლარით) იზრდება.

  - ✓ რენტა 3700,0 ათასი ლარი;

    2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან (3610,0 ათასი ლართან) შედარებით პროცენტები 2,50 %-ით (90,0 ათასი ლარით) იზრდება.

- **შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 50,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

  - ✓ სანებართვო მოსაკრებლები 50,0 ათასი ლარი;

    2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან (44,5 ათას ლართან) შედარებით პროცენტები 12,3 %-ით (5,5 ათასი ლარით) იზრდება

- **შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 559,7 ათასი ლარის** ოდენობით, მათ შორის:

  - ✓ შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო 539,7 ათასი ლარი;

  - ✓ შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო 20,0 ათასი ლარი;

- **ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე განსაზღვრულია 120,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

  - ✓ შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლო 120,0 ათასი ლარი;

არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 700,0 ათას ლარს;

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 24500,0 ათას ლარს (2023 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 4500,0 ათასი ლარით).

2024 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია დამატებითი ხარჯები ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა თანამშრომელთა ხელფასების ზრდა, ინფრასტრუქტურული პროექტების ზრდა, დასუფთავების და გარმოს დაცვის მომსახურების ზრდა.

2024 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია დამატებითი ხარჯები, მათ შორის თანამშრომელთა ხელფასების ზრდა კარიერული სქემის შესაბამისად. აღნისნული გამომდინარეობს 2024 წლის სახლემწიფო ბიუჯეტის პროექტის გათვალისწინებით, რადგან 24-ე მუხლის 2-ე პუნქტით 2024 წელს, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 1 330 ლარის ოდენობით ნაცვლად 1210 ლარისა. ინფრასტრუქტურული პროექტების ზრდა, დასუფთავების და გარმოს დაცვის მომსახურების ზრდა.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

- **(02,00) ინფრასტრუქტურის განვითარება - 7170,9 ათასი ლარი; მათ შორის:**

  - ✓ **საგზაო ინფრასტრუქტურის** განვითარება - 3106,0 ათასი ლარი;

    განხორციელედება შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია:

- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, შიდა სახელმწიფო მნიშვნელობის ,,თბილისი (პანტიანი)-მანგლისი'' საავტომობილო გზიდან სოფელ **დიდგორში** სკოლასთან

მისასვლელი 1,7 კმ სიგრძის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. აღნიშნული სამუშაოს რეაბილიტაციისათვის 2024 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნეს **300,0** ათასი ლარი, აღნიშნული პროექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 1 000.0 ათას ლარს.

- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ **ვაშლოვანში** მე-3 ქუჩის (სკოლიდან სასაფლაომდე - 1,06 კმ) და მე-2 ქუჩის (700 მ) რეაბილიტაციის, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის **დაბა მანგლისში, გიორგი და ნოდარ ბადალაშვილის** ქუჩის 700 მეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაციის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ **ზირბითში, ახალსოფელში და გოხნარში** მისასვლელი გზის 900 მეტრიანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გათვალისწინებული იქნეს **1100.00** ათასი ლარი. პროექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 3400.00 ათას ლარს.

- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ჭივჭავის ადმინისტრაციულ ერთეულში ,,თეთრიწყარო-სამღერეთის"-ს ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მე-15 კმ-ზე, მდ. ,,ასლანკაზე", არსებული მილხიდის დემონტაჟისა და ახალი ერთმალიანი საავტომობილო **ხიდის** მოწყობისათვის გათვალისწინებული იქნეს **500.00** ათასი ლარი.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის #2475 განკარგულების შესაბამისად გამოყოფილ თანხებზე 2024 წელს თანადაფინანსების სახით გათვალისწინებული იქნეს 160,5 ათასი ლარი . მათ შორის:

- ✓ დაბა მანგლისში, რუსთაველის ქუჩის ნაწილის (თამარ მეფის ქუჩამდე 150 გ რძ/მ) სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის გათვალისწინებული იქნება თანადაფინანსება **48887,0** ლარი. პროექტი დასრულებულია, პროექტის სრული ღირებულება შეადგენს 107127 ლარს. 2023 წელს გათვალისწიბებულია 54162 ლარი.

- ✓ სოფელ პატარა თონეთში, ცენტრალური მისასვლელი გზის 1.3 კმ. მონაკვეთის, სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის და სოფელ დიდი და პატარა დურნუკში 0.6 კმ. მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის 2024 წელს გათვალისწინებული იქნეს თანადაფინანსების სახით **52325** ლარი. პროექტის სრული ღირებულება შეადგენს 1307690 ლარს 2023 წელს დაფინანსდება 261188.00 ლარი

- ✓ სოფელ ჭივჭავში 1.9 კმ. შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის 2024 წელს თანადაფინანსებისთვის გათვალისწინებული იქნეს **59261,00** ლარი. პროექტის სრული ღირებულება შედგენს 1481040,00 ლარს. 2023 წელს დაფინანსდება 295812.00 ლარი

- საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, აღნიშნული სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა- რეაბილიტაციას (მათ შორის, ე.წ. ორმული შეკეთება), ასევე, არაასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა-მოშანდაკებას, აგრეთვე თოვლისა და ყინულის საფარისაგან გაწმენდის მომსახურებისათვის გათვალისიწნებულია **495,5** ათასი ლარი, რომელსაც განახორციელებს შპს „თეთრიწყაროს სერვის ჯგუფი" სუბსიდირების სახით. ასევე გათვალისწინებულია 550,0 ათასი ლარი ავტომანქანების შესაძენად კერძოდ: JCB-ის მარკის 3CX Super მოდელის ექსკავატორ დამტვირთველის და HOWO-ს მარკის თვითმცლელის შეძენა)

- ✓ **წყლის სისტემების** განვითარება -**825,3** ათასი ლარი;

  განხორციელდება შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია:

- შპს „თეთრიწყაროს სერვის ჯგუფი“-სუბსიდიარება **743,5** ათასი ლარი. (რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის სოფლების წყლის სათავე-ნაგებობების, რეზერვუარების, შიდა-საუბნო და ცენტრალური ქსელების მოვლა-პატრონობას, მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთებას და გამოცვლას; ამორტიზებული და დაზიანებული ტუმბოების შეკეთებას, ახლით ჩანაცვლებას; აგრეთვე გათვალისწინებულია **65,5** ათასი ლარი CLW- ბრენდის 4X2 ორმაგ კაბინიანი ბორტიანი სატვირთოს- ტენტით შეძენა)
- საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების გაწმენდა, რის შედეგად უხვი ნალექების პირობებში მოსახლეობა დაცული იქნება ეზოების და პირველი სართულების დატბორვისგან. კომფორტული გახდება აღნიშნული გზით მოსარგებლე მოსახლეობის გადადგილება და შესაბამისად სხვადასხვა სერვისების ხელმისაწვდომობა. აღნიშნული მომსახურეობისათვის გათვალისწინებულია **11,5** ათასი ლარი, რომელსაც შპს „თეთრიწყაროს სერვის ჯგუფი“ სუბსიდირების სახით მიიღებს.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის #2475 შესაბამისად გამოყოფილ თანხებზე 2024 წელს თანადაფინანსების სახით გათვალისწინებული იქნეს **4,8** ათასი ლარი . მათ შორის:

- ✓ ქ. თეთრიწყაროში გიორგი ბრწყინვალის N16 და დემეტრე თავდადებულის ქ.N16 შორის არსებულ მონაკვეთზე (90 გრძ/მ), ჯავახიშვილის ქუჩაზე (520 გრძ/მ) და მუსხელიშვილის ქუჩაზე (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ) (150 გრძ/მ) სანიაღვრე არხის მოწყობა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჯორჯიაშვილში არსებული სანიაღვრე არხის, ბრტყელი რკინაბეტონის ფილებით გადახურვის მოწყობის სამუშაოებისათვის გათვალისწინებული იქნეს თანადაფინანსების სახით **4873.00** ლარი. (პროექტის სრული ღირებულება 137465,00 ლარი) 2023 წელს დაფინანსდება 40000,00 ლარი (მათ შორის: ც.ბ 38000,00 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2000,00 ლარი) 2023-2024 წ.წ.

- ✓ **გარე განათება - 624,0 ათასი ლარი;**

განხორციელედება შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია:

- **300,0** ათასი ლარი გათვალისიწნებულია გარე განათებაზე გახარჯული ელ ენერგიის ხარჯის ანაზღაურებაზე.
- **324,0** ათასი ლარი გათვალისიწნებულია შპს „თეთრიწყაროს სერვის ჯგუფი“-ს სუბსიდირებაზე, შპს უზრუნველყოფს გარე განათების ქსელის მოვლა პატრონობასა და რეაბილიტაციას. გადამწვარი და ექსპლუატაციიდან გამოსული სანათების დროულ გამოცვლას, შეკეთებას და მის გამართულ მუშაობას.

- ✓ **მუნიციპალური ტრანსპორტის განახლებისათვის გათვალისიწნებული იქნეს 1394,0 ათასი ლარი.**

2023 წელს შეძენილი იქნება 3 ერთეული ნაგავმზიდი და 3 ერთეული ავტობუსი, მრავალწლიანი შესყიდვის საშუალებით 2023-2024 წ.წ. (2023 წელს ანაზღაურდა ღირებულების 40%,) მოწოდება განხორციელდება 2024 წელს.
3 ერთეული ნაგავმზიდის სრული ღირებულება შეადგენს 1292750 ლარს (მათ შორის: ორი ერთეულის 792360 ლარს, ხოლო ერთი ერთეულის 500390 ლარს) 2023 წელს ანაზღაურებულია 517100 ლარი, შესაბამისად 2024 წელს გათვალისწინებულია (1292750-517100=775650) **775650** ლარი.

აგრეთვე შეძენილი იქნა 3 ერთეული ავტობუსები მრავალწლიანი შესყიდვის საშუალებით 2023-2024 წ.წ. (2023 წელს ანაზღაურდა ღირებულების 40%,) მოწოდება განხორციელდება 2024 წელს. 3 ერთეული ავტობუსის სრული ღირებულება შეადგენს 1030500 ლარს. 2023 წელს ანაზღაურებულია 412200 ლარი, შესაბამისად 2024 წელს გათვალისწინებულია (1030500-412200=618300) **618300** ლარი.

- ✓ **ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაციისათვის გათვალისიწნებული იქნეს 795,6 ათასი ლარი.**
  - ქ. თეთრიწყაროში, თამარ მეფის N35-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის სრული რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებული იქნეს 795.6 ათასი ლარი. (2023-2024 წ.წ.) 2023 წელს გათვალისწინებული იქნა 300,0 ათასი ლარი. პროექტის სრული ღირებულება 1095,6 ლარი.

- ✓ **საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებული იქნეს 9,9 ათასი ლარი.**
  - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ღოუბანში სარიტუალო დარბაზის ინვენტარით აღჭურვისათვის გათვალისწინებული იქნეს 9,9 ათასი ლარი.

- ✓ **ა(ა).ი.პ. „ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტო“-ს მხარდაჭერისთვის გათვალისწინებულია 25,0 ათასი ლარი**
- ✓ **სხვადასახვა ხარჯებისათვის გათვალისიწნებულია 451,0 ათასი ლარი;**
  - პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება. დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯებისათვის განსაზღვრილია 300,0 ათასი ლარი.
  - საპროექტო დოკუმენტრაციის, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საკადასტრო რუქების მომზადებისთვის გათვალისიწნებულია 1,0 ათასი ლარი.
  - საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისთვის გათვალისიწნებული იქნეს 150,0 ათასი ლარი.

- ➢ **(03,00) დასუფთავება და გარემოს დაცვის მომსახურებაზე განისაზღვრა - 1980,0 ათასი ლარი; მათ შორის:**
  - ✓ **დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 1980,0 ათასი ლარი**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა.

  - ქუჩების დაგვა დასუფთავების მომსახურებაზე გათვალისიწნებულია 580,0 ათასი ლარი.
  - დასუფთავებული ნარჩენების გატანის მომსახურებაზე გათვალისიწნებულია 1400,0 ათასი ლარი.

- ➢ **(04,00) განათლება - 4300,0 ათასი ლარი, მათ შორის:**
  - ✓ **სკოლამდელი განათლება - 4300,0 ათასი ლარი;**

2023 წელთან შედარებით თანხები გაზრდილია 887,7 ათასი ლარით (12,26%), რაც გამოწვეულია პედაგოგების ხელფასების მატებით და სხვა ხარჯების ზრდით;

- ააიპ "თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი"-ს სუბსიდირებისთვის გათვალისიწნებულია 4300,0 ათასი ლარი.

➢ **(05,00) კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 2852,4 ათასი ლარი მათ შორის:**

✓ **სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 1073,7 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებს. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ხელფასების ზრდა.

✓"ააიპ „თეთრიწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრი"-ს სუბსიდირებაზე გთვალისიწნებულია **935,3** ათასი ლარი

✓ „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის #2475 შესაბამისად გამოყოფილ თანხებზე 2024 წელს თანადაფინანსების სახით გათვალისწინებული იქნეს **13,4** ათასი ლარი . მათ შორის:

- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ალექსეევკაში ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მინი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოებისათვის თანადაფინანსების სახით გათვალისწინებული იქნეს **4365.00** ლარი 2023 წელს ათვისებული იქნეს 45906,00 ლარი (მათ შორის: ც.ბ 43611,00 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2295,00 ლარი) (პროექტის სრული ღირებულება შეადგენს 138776,70 ლარი)

- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ასურეთში ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მინი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოებისათვის თანადაფინანსების სახით გათვალისწინებული იქნეს **4441.00** ლარი, 2023 წელს ათვისებული იქნეს 47094,00 ლარი (მათ შორის: ც.ბ 44739,00 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2355,00 ლარი) (პროექტის სრული ღირებულება შეადგენს 142369,90 ლარი)

- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამშვილდეში ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მინი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოებისათვის თანადაფინანსებისათვის გათვალისწინებული იქნეს **4717.00** ლარ. 2023 წელს ათვისებული იქნეს 45000,00 ლარი (მათ შორის: ც.ბ 42500,00 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2500,00 ლარი) (პროექტის სრული ღირებულება შეადგენს 129245,70 ლარს)

✓ ქ.თეთრიწყაროში კულტურისა და სპორტის ცენტრის მშენებლობის თანადაფინანსებისათვის გათვალისწინებული იქნეს 125,0 ათასი ლარი (პროექტის სრული სავარაუდო ღირებულება შეადგენს 2500,0 ათას ლარს.

✓ **კულტურის განვითარების ხელშეწყობა 1644,7 ათასი ლარი**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის, მეგობრობის ცენტრის, მუზეუმისა და კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურურლი ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა. ასევე მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების გაშუქება და პოპულარიზაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

- კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა; ააიპ"კულტურისა და სპორტის ცენტი"-ს სუბსიდირება **1644,7** ათასი ლარი

✓ **ახალგაზრდობის მხარდაჭერა -134,0 ათასი ლარი.**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მომავალი თაობის ფიზიკური გაჯანსაღების მიზნით ტურისტული ლაშქრობები. ასევე ახალგაზრდა თაობის ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში. ახალგაზრდების ინიციატივებით სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა.

- ვაჟა-ფშაველას სახელობის სტიპენდია წარმატებული მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის დახმარება 30,0 ათასი ლარი
- პროფესიული განვითარების ხელშეწყობა 23,0 ათასი ლარი
- ბასილ მელიქიშვილის სახელობის ლიტერატურული პრემია 2,5 ათასი ლარი
- პრემია წარმატებულ აბიტურიენტებზე 24,5 ათასი ლარი
- ადგილობრივი სათემო ჯგუფების/ორგანიზაციების სოციალური ინიციატივების მხარდაჭერა 50,0 ათასი ლარი.
- ეტალონი 4,0 ათასი ლარი

➢ **(06,00) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა- 1367,0 ათასი ლარი,**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:· არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; · დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; · მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

✓ სოციალური პროგრამებზე გათვალისიწნებულია **600,0** ათასი ლარი

✓ ააიპ „თეთრიწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი“-ს სუბსიდირებაზე გათვალისიწნებულია **247,0** ათასი ლარი

✓ ხანდაზმულთა სოციალური დაცვა, ააიპ "თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი"-ს სუბსიდირებაზე გათვალისიწნებულია **450,0** ათასი ლარი

✓ სსიპ "წითელი ჯვარი"-ს სუბსიდირებისათვის გათვალისწინებული იქნეს 70,0 ათასი ლარი

- **მმართველობა - 6769.8 ათასი ლარი, მათ შორის:**
  - ✓ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო- 1706,1 ათასი ლარი;
  - ✓ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია - 4762,0 ათასი ლარი;
  - ✓ სარეზერვო ფონდი - 15,0 ათასი ლარი;
  - ✓ გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის გათვალისწინებული იქნეს 15,0 ათასი ლარი.
  - ✓ სსიპ მუნიციპალური განვიარების ფონდითვის გადასახდელი თანხა შეადგენს 271,7 ლარი, მათ შორის ძირი 235,5 ათასი ლარი და პროცენტი - 36,2 ათასი ლარი.

  დაგეგმილია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების საპროცენტო და სესხების ძირი თანხების დაფარვა ყოველთვიურად.
  მუნიციპალიტეტს აღებული აქვს სესხი ორი ცალი კომპაქტორიანი ნაგავმზიდი მანქანის და 100 ცალი ნარჩენების კონტეინერების შესყიდვაზე, რაზეც 2023 წლის განმავლობაში სესხის ძირის დაფარვაზე გადახდილი იქნება **55,6** ათასი ლარი, ხოლო პროცენტზე **12,7** ათასი ლარი.
  ქ.თეთრიწყაროში თაყაიშვილის, ტაბიძის, თუმანიანის, გ.ბრწყინვალეს კოსტავას ხერგიანის, თრიალეთის და დაბა მანგლისში 3 წყალგამტარი მილხიდის მოწყობაზე 2023 წლის განმავლობაში სესხის ძირის დაფარვაზე გადახდილი იქნება **179,9** ათასი ლარი, ხოლო პროცენტზე **23,5** ათასი ლარი

მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების ნუსხა და მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

პროგრამის კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა	განმახორციელებელი ორგანიზაცია/სამსახური
01 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**	**6769,8**	
01 01	**საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა**	**6468,1**	
01 01 01	**თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო**	**1706,1**	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო
01 01 02	**თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია**	**4762,0**	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია
01 02	**საერთო დანიშნულების ხარჯები**	**301,7**	
01 02 01	**სარეზერვო ფონდი**	**15,0**	საფინანსო სამსახური
01 02 02	**გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა**	**15,0**	
01 02 03	**მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა**	**271.7**	საფინანსო სამსახური
02 00	**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**	**7230,8**	
02 01	**საგზაო ინფრასტრუტურის განვითარება**	**3,106.0**	
02 01 02	**ახალი გზების მშენებლობა**	**2,060.5**	ინფრასტრუქტურის სამსახური
02 01 03	**გზის მოვლა შენახვა**	**1,045.5**	შპს „თ.წ. სერვის

პროგრამის კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა	განმახორციელებელი ორგანიზაცია/სამსახური
			ჯგუფი“
02 02	**წყლის სისტემების განვითარება**	**825.3**	
02 02 01	**სასმელი წყლით უზრუნველყოფა**	**809.0**	შპს „თ.წ. სერვის ჯგუფი“
02 02 02	**საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების გაწმენდა**	**16.3**	შპს „თ.წ. სერვის ჯგუფი“ და ინფრასტრუქტურის სამსახური
02 03	**გარე განათება**	**624.0**	
02 03 01	**გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია (მოვლა შენახვა)**	**624.0**	შპს „თ.წ. სერვის ჯგუფი“ და ადმინისტრაციული სამსახური
02 04	**მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება**	**1,394.0**	
02 04 01	**მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება**	**1,394.0**	შპს „თ.წ. სერვის ჯგუფი“ ქონების სამსახური
02 05	**ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია**	**795.6**	
02 05 02	**ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია**	**795.6**	ინფრასტრუქტურის სამსახური
02 07	**კეთილმოწყობა**	**25.0**	
02 07 01	**საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია**	**9,9**	ქონების სამსახური
02 07 05	**ა(ა).ი.პ. „ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტო“ მხარდაჭერა**	**25.0**	სოფლის მეურნეობის სამსახური
02 11	**სხვადასხვა ხარჯები**	**451.0**	
02 11 01	**საპროექტო დოკუმენტაციის, არასასოფლო-სამეურნეო დაიშნულების მიწების საკადასტრო რუქების მომზადების ხარჯი.**	**1.0**	ქონების სამსახური
02 11 02	**სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების ხარჯი**	**300.0**	ზედამხედველობის სამსახური
02 11 03	**საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ხარჯი**	**150.0**	ინფრასტრუქტურის სამსახური
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**1,980.0**	
03 01	**დასუფთავება და ნარჩენების გატანა**	**1,980.0**	შპს „თ.წ. სერვის ჯგუფი“
04 00	**განათლება**	**4,300.0**	
04 01	**სკოლამდელი განათლება**	**4,300.0**	
04 01 01	**ააიპ "თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი"**	**4,300.0**	ააიპ "თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი"
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**2,852.4**	
05 01	**სპორტის სფეროს განვითარება**	**1,073.7**	
05 01 01	**სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა**	**935.3**	ააიპ"კულტურისა და

პროგრამის კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა	განმახორციელებელი ორგანიზაცია/სამსახური
	ააიპ"კულტურისა და სპორტის ცენტი"		სპორტის ცენტი"
05 01 03	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	138.4	ინფრასტრუქტურის სამსახური
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1,644.7	
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა; ააიპ"კულტურისა და სპორტის ცენტი"	1,644.7	ააიპ"კულტურისა და სპორტის ცენტი"
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	134.0	
05 03 01	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	134.0	კულტურის სამსახური
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,367.0	
06 01	ააიპ „თეთრიწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი“	247.0	ააიპ „თეთრიწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი“
06 02	სოციალური პროგრამები	1,120.0	
06 02 01	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფის ერთჯერადი დახმარება. მშობიარეთა დახმარება	295.0	სოციალური სამსახური
06 02 02	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა ააიპ "თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი"	450.0	ააიპ "თეთრიწყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა დახმარების ცენტრი"
06 02 03	მარჩენალდაკარგულ პირთა, ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა სსიპ "წითელი ჯვარი"	230.0	სოციალური სამსახური
06 02 04	დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება	20.0	სოციალური სამსახური
06 02 05	გადაუდებელი აუცილებლობის, სტიის, უბედური და სხვა ფორსმაჟორული შემთხვევებისას ნატურალური თუ ფულადი ფორმით დახმარება	100.0	სტიქიის კომისია
06 02 06	მეორე მსოფლიო ომისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ან მათთან გათანაბრებულ პირების დახმარება	10.0	სოციალური სამსახური
06 02 07	სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრის და იძულებით გადაადგილებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში დახმარება	15.0	სოციალური სამსახური

სოციალური სამსახური

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში 24500,0 ათას ლარს შეადგენს.

- *საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 6769,8 ათასი ლარი;*
- *ეკონომიკური საქმიანობა - 4,500 ათასი ლარი;*
- *გარემოს დაცვა - 1980,0 ათასი ლარი;*
- *საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 2730,8 ათასი ლარი;*
- *ჯანმრთელობის დაცვა - 247,0 ათასი ლარი;*
- *დასვენება, კულტურა და რელიგია- 2852,4 ათასი ლარი*
- *განათლება - 4300,0 ათასი ლარი;*
- *სოციალური დაცვა - 1120,0 ათასი ლარი;*

ე) დადგენილების ავტორი

მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

ვ) დადგენილების ინიციატორი

მუნიციპალიტეტის მერი

საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების

სამსახურის უფროსი ეკატერინე აფციაური